


ს პ ა ნ ბ ნ

კომუნისტური პარტია

1954 წლის 19 იანვარი

№ 8-9

კომუნისტური პარტია - 88 წლის სიძველისა



ს. ს. ს. 352

კომუნისტური პარტია

მიდის მედგრად, მიდის სწრაფად, შთა და ბარი გადაქსელა, კერძო ჩარჩი და კულაკი დაამხო და გადასთელა მესაჭედ და მემანქანედ ჰყავს მშრ ომელთა კლასი მტკიცე, მის სვლის ტემპებს ჩვენ ტაშს ვუკრავთ, დუშმანმა კი თავში იცეს.

ნახ. კოქიაშვილის



კოოპერაცია-გზაა სოციალიზმისაკენ

მოსულნი და... მეგობრული უარსაცმე

ნახ. ქოქიაშვილის

—სოციალიზმი გიყვების მოგონილი ამბავი მეგონა.

—რას ბოდავ!—შეუბღებირე ჩემს მისწულს, რომელიც ერთხელ ქალაქიდან მესტუმრა და სოციალიზმზე და რევოლუციასზე ჩამომიგდო ლაპარაკი.

—რის სოციალიზმი, რა სოციალიზმი? კერძო საკუთრება ღმერთს გაუჩენია და ხელმწიფეს დაუკანონებია და თქვენ მისი მოსაზრება ვინდათ? —შევედავე მას.

და მართლაც გიყი ხომ არ ვიყავი, რომ ჩემს სომიდრეს უსისხლოთ ვინმეს დაუთმობდი.

ვცხოვრობდი არხენად: ჩემს ოჯახს „ჩიტის რძეც“ კი არ დაკლებია“

როგორც იტყვიან „დრონი მეფობენ და არ მეფენიო“ დაჰპერა ახალია ხიომ.

ხალხში რაღაც ნობრაობა დაიწყო, არაღვალური კრებები იმართებოდა, რამდენჯერ ჩემს სახლშიც გაუმართავთ კრება, რასაკვირველია ჩემს სურვილის წინააღმდეგ, თუმცა წინააღმდეგობის გაწევას ვერ ვბედავდი.

თუ წინად სოციალიზმის წინააღმდეგ გაბედულათ გამოვიდიოდი, ეხლა იძულებული ვიყავი „ენა დამემოკლებია“ და სოროში ჩამძვრალიყავი.

—სოციალიზმი ჩინებული საქმეა, მისი უარყოფა შეუძლებელია, მხოლოდ ჯერჯერობით ნაადრევია მეთქი, —„ვუჩევი“ ცხრასს ხუთი წლის მეთაურებს, ...

დადგა სანეტარო დრო—შავი რეაქცია.

სოროდან ნელ-ნელა გამოვძვერი და წეღში გავიმართე.

ვფიქრობდი: რაც იყო აღარ განმეორდება. რევოლუციის ცეცხლი საუკუნოდ ჩამქვრალი მეგონა.

ჩემს სომიდრეს არაფერი დაკლებია.

1917 წელმა თავზარი დამცა.

ნიკოლოზის ბედმა ძლიერ დამაღონა კიდევ კარგი, რომ მენშევიკებმა ცოტა ხანს საქმე გამოაკეთეს. კერძო ვაჭარი ვიყავი, მაგრამ მენშევიკების დროის კოოპერაციაში საკმაო დიდი ადგილი მეკავა. კოოპერაციის საშუალებით საქონელს იაფად ვიძენდი და ძვირად ვასაღებდი. რა მიშავდა რომ მენშევიკები არ წამხდარიყვენ და ჩვენც არ წავვხდინეთ.

1921 წლის საქართველოს თებერვლის რევოლუციის არ გავდა 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციას.




ახს. ვ. ბოლქვაძე—ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.



ახს. ვ. ძუღლაძე—მუშეოპობის გამგეობის თავმჯდომარე.

წასულნი



ახს. მ. ტორიშელიძე—ცეკავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე.



ახს. კ. ამირალოში—მუშეოპობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე.

მენშევიკები და მათი კოოპერაცია ისტორიის არქივს ჩაბარდა.

—დავიღუპე კაცი, გზა მოჭრილი მაქვს, არც იქით, არც აქეთ,—უამბობდი აავისთვის და გამოსავალს ვეძებდი ამ მძიმე მდგომარეობიდან. „კოოპერაცია-გზაა სოციალიზმისაკენ“.

ვკითხულობთ ბოლშევიკების ლოზუნგს.

კერძო ვაჭრობა გაზაფხულის თოვლივით ქრებოდა.

ჩვენ, ყოფილ ვაჭრებს, როგორც იტყვიან „შავი ყველიერი“ დაგვიღვა.

იქით ვეცი, აქეთ ვეცი. ხელათ გავიკეთე პატროსანი კაცის ნილაბი, მიემართე პროტექციას.

ჩავიცვი „ცხვის ქურქი“, თეთრი კბილები გადმოიყაპე. და, როგორც იყო, კოოპერაციის ერთ-ერთ დაწესებულებაში მოვიკალათე. უნდა გითხრათ გულახდილათ, რომ ეს წყვეული წმენდა არ დაეწყეთ, როგორც იტყვიან „საქმე ქუღში“ მქონდა.

მაგრამ, ნათქვამია, „ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო“.

ჩემი კოკაც სამუდამოდ დაიმსხვრა.

კოოპერაციიდან გამომწმინდეს და პანლური ამომკრეს.

თუ ბოლშევიკების კოოპერაცია მიინართება სოციალიზმის გზით, ჩემი გზა კი დაეშვა უფსკრულისაკენ.

უშუბარა

მუშკობი არის ის მისამართი,
ვეზავნი მას სადაც,—
არა დაკვეთით, არამედ სადათ!
ასლის ადრესი არის ცეკავშირი,
(რომელსაც სოფელთან სუსტი აქვს კავშირი!)
მაგრამ ფოჩტაში ის არ მ-ვეცი,
რადგან წესრიგი მე მისი ვიცი:
დამტარებელი მათ ვერ მიაგნებს,
წერილს საღაცა გზაში მიაგნებს!
თუ რომ მიიტანს დანიშნულ ადგილს,
მისი წაკითხვა მაშინ აღარც ღირს,
რადგანაც ხანი სწორეთ გაივლის,
არა ნაკლები ორი-სამი თვის!

ამიტომ მე მსურს „ნაინგს“ მივანდო,
ასეთ საქმეში ის არის სანდო,
რომ თვით წაილოს მან ეს ბარათი,—
თუმცა დღე აქაც გაივლის ათი,—
და ჩააბაროს ვასო ქურდაძეს,
ვისი სახელიც ბარათზე აწის.
ასლი გადასცეს ვანო ბოლქვაძეს,
ის ცეკავშირის სავარძელში ზის!

სალამი, ბიჭო, ქურდაძე ვასო!
მტრებისთვის რისხვა, ჩვენთვის ძვირფასო!
უკვე შეუდგე საქმეს, გავიგე,
მიტომ კალამი ხელში ავიღე.
ზოგიერთ ნაკლზე მსურს მივითითო,—
(შენ არ იცოდე ისინი თითქო!)
ძმავ, მარჯვეთ გმართებს დატრიალება,
მკაცრათ თვალების დაბრიალება

ნახ. ღონის.



ანუ ესმით ზოგიერთებს ძალუბის ჩაბა კო.ო.კა-
რატიაში.

ველა იმათთვის,
რომლებს ცოდვებს აბა ვინ დასთვლის!
წმენდის დროს იყვენ ვინც გამოყრილი,
ისევ არიან მანდ თავ მოყრილი.
მუშებისთვის შენ რასაც ამზადებ,
ილიაში აქვთ, ამ არამზადებს!
ნაცნობ-მეგობრებს ამარაგებენ,
პასუხს არვის წინ აღარ აგებენ.
ჩვენი მარაგის განაწილება,
მათი წყალობით უმსგავსოთ ხდება.
(არ იქნებოდა კუდი და რიგი,
რომ სწორათ იყოს ის დანარიგი!)
გამოიცვალე ერთხელ შენ სახე,
მალაზიეში შედი და ნახე,
რას აკეთებენ მასში ნოქრები.
კავშირის წვერი, განა, ოხრები?
აბა რა უთხრა მე ისეთ კავშირს,
რომელიც ვერ სდებს მათ პირში აღვირს!
(ბაგრატ მაჩაიძეს არ მოეწონება,
თავს რომ მივეცი ასეთი მე ნება,
მაგრამ სჯობს ისევ მას ვაწყენოთ,
და ნოქრებს დახლი არ ვა(კ)ლევინოთ!)
შედი, ნახე და შეუცაცხანე,
ზოგს გაუჯავრდი, ზოგსაც უტხუნე.
არვინ დაინდო, არვინ დაზოგო.
ტურშელებილი, ტატილეთ გოგო,
თუ უტიფარი, უსირცხო ბიჭი,
ვისაც ქურდობის აქვს მხოლოდ ნიჭი!
რომ იჯიბავენ სხვადასხვა ნაჭრებს,
ჩუმათ ჰყიდიან კერძო ჩარჩ-ვაჭრებს,
უნდა გაავლო მუსრი ასეთებს,
ვინაც მანებლურ საქმეს აკეთებს.
ვინაც აკეთებს საქმეს ერთგულათ,
მას მოეპყარი კეთილი გულით.
მაგრამ საჩუქრათ კი არ მიართვა
ფეხსაცმელები, ანა და უთო,—
როგორც შეცდომით რვა მარტს ეს ქენი,
რისთვისაც ჩემგან ნაძრახ იქენი.
თუ გსურს შეჯიბრის ფასი ასწიო,
პირად საკითხათ ის არ აქციო.
ჩემს დარიგებას თუ შეასრულებ,
შენ გაიმარჯვებ, იცოდე, სრულათ.
თუ რომ დაიწყე შემშუმენა მხრების,
მოგელის ბედი შენც წინაპრების!..

ს. თ. ია.

კოოპერატიული ანდაზები

- ერთმა გლახა ნოქარმა ასი კარგი ნოქრის სახელი წაბილწაო.
- გლახა ნოქარი და კარგი ნოქარი წმენდაზე გამოჩნდებო.
- ცუდი ნოქარი თავის თავსაც სტანჯავს და სხვა-საცაო.
- ნოქარი საქონელს ჩუმათ ყოველთვის ვერ გაიტანს, ერთხელაც იქნება—დაიჭერენო.
- ბოროტმომქმედ ნოქრის დამფარავი ნოქარიც—ბოროტმომქმედილო.



ნახ. ქოქიაშვილის

ზამთარი თითქმის გავიდა, რაც იორდანე ჯლაცუნაშვილს პალტო არა ჰქონდა, ხოლო ამ სასითბუროს ის შეპირებული იყო მუშკოროპის იმ მაღაზიის გამგუსაგან, სადაც იორდანე მიემავრა თავისი წიგნაკით.

მაგრამ შეპირებაც ცოტა არის. იორდანემ ვერცხვადებული ორდერის მიღებაც კი მოახერხა პალტოს მისაღებად.

და აი, ერთ მშვენიერ ზამთრის დღეს, როცა თებერვალი თუ არ დამდვარიყო ჯერ კიდევ, იანვარი ხომ მაინც თავის მიწურულს ითვლიდა, იორდანეს მიმაგრების წერტმა მიიღო პალტოები.

— ეჰ, გეშველა, ჯლაცუნაშვილო, — დასცინოდენ იორდანეს ამხანაგები.

— იცინეთ, შვილოსა, რამდენიც გენებოთ — ამბობს იორდანე თავისთვის — და მე რომ ახალ პალტოს მოვიგდებ მხრებზე, ხოლო თქვენ კი თქვენს დაჩონჩილ პალტოებში მოვიხდებით ამ ზამთრის დაღვევა, აი მაშინ კი გაიგებთ თქვენი დაცინების შესაბამობას.

და მართლაც რა იმედით და სიანაყით არ მიადგა იორდანე თავისი მიმაგრების წერტს.

იორდანეს წინ იდგა თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელი, რომელსაც რატომღაც ამოჩებული ჰქონდა: „თუთუნის ფერი თუ არ იქნა პალტო, არ მინდაო“.

ორი - სამი დღის ასე კუდში დგომის შემდეგ, როგორც იყო, იბრაანა და იორდანე და თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელიც მიუახლოვდნენ სავაჭროს კარებს. კარებიდან შიგნითაც შერგეს ცხვირი, თითონ სავაჭროში და ბოლოს სანუკვარ ყაფანსა და ყაფანს გადაღმა მდგომ, სიანჩლისა გამო, სახეზე ყახვ - დაკრულ ნოქარსაც მიუახლოვდნენ.

— აბა, პალტო! — შესძახა იორდანემ ნოქარს მოუთმენლად.

რაღა პალტო, აი, ერთი — და დარჩა, თუ გნებავთ — იყო გჯლის დამწველი პასუხი ნოქარისა.

მხოლოდ საკითხავია, თუ რომელს უნდა დასწყვეტოდა გული: იორდანეს თუ თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელ მუშას. მომარაგების განწყვეთით უპირატესობა იორდანესი იყო, ხოლო რიგით თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელს ეკუთვნოდა პირველობა.

საქმეში ადმინისტრაციაც ჩამოერა. გაიმართა ცილაობა, დავა, კამათი.

— აკი მე ვამბობდი, თუთუნის ჯერი პალტო მინდა — მეთქი, გაიძა-



ჟოჯილინი:—ვერაფერი ვამიგია ამათი, ვაჭრებს გასაქანს არ გვაძლევნ, თვითონ კი ხედავთ, როგორ კარ გად უძღვებიან ვაჭრობას.

ხოდა იორდანეს საგულისხმოდ თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელი — და პალტოც ხომ თუთუნის ფერისაა.

ამ სიტყვებზე იგი თავისკენ მიაქაჩებდა პალტოს, რომელსაც მეორე თავში იორდანე ჩაჰფერნოდა და თავისკენ ეწეოდა, მიუხედავად იმ მომაკვდინებელ არგუმენტისა, რომ პალტო მართლაც თუთუნის ფერისა იყო.

მაღაზიის გამგე ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში.

და აი, უცბათ სახე მათი გააბრწყინა გენიალურმა გამოგონებამ: ყაფანზე დაყრილ გაყილულ პალტოებზე ნორმის და ნიშნის მაჩვენებელი ორი თეთრი ქაღალდის ნაჭერი ხელში აიღო, ერთზე დააწერა სიტყვა: „ერგოს“, მეორე ისე დასტოვა, ორივე შეარგვალა, ქედში ჩააგდო და იორდანესა და მის მოცილეს გაუწოდა.

მოცილებები მაშინვე მიხედნენ, რაც უნდა ექნათ. ჯერ თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელმა ჩაჰკრა ხელი ქედში, როგორც უფრო ხარბმა და ამოიღო იქიდან ქაღალდის ერთი

როგოლი. იორდანემ უფრო ზანტად ჩაუშვა ხელი ქედში, მაგრამ ბედმა მაინც სწორედ მას გაუღიმა.

— ერგოს! — წამოიძახა იორდანემ და პალტოც თავისკენ გასწია... მაგრან...

საქმეც სწორედ ამ მაგრამშია. და როცა პალტო გაშალა იორდანემ ტანზე მოსარგებათ, აღმოჩნდა, რომ მთელ პალტოში იორდანეს მხოლოდ ცალი „ჯლიგვი“ ანუ ცალი მკლავი ძლივს მოთავსდებოდა.

გულნატკენმა იორდანემ პალტო ხელში დაბლუჯა და ყაფანზე დასდო მაგრამ აქ თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელი ეცა პალტოს, გაშალა და კოხტად გახვია შიგ თავისი იორდანეს სწორედ ცალი მკლავის ოდენა ტანი.

—მერგო, არ მერგო ღმერთმა შეგარგოს.—დაულოცა იორდანემ თუთუნის ფაბრიკის თანამშრომელს პალტო და გულმოკლულმა ბუნჯულუნ - ბუნჯულუნით დასტოვა თავისი მიმაგრების წერტი.

ცეკავშირი

პირდაპირი გაგებით

ნახ. ტაბატაძის

„ნიანიგი“-ს დავალებას: სიტყვა „ცეკავშირი“-ს ლინგვისტურ ახსნა-განმარტების შესახებ, სიამოვნებით ვასრულებ.

მაგრამ მწუხადებით უნდა განვაცხადო, რომ მიუხედავად დიდის ძიებისა და შრომისა სიტყვა: „ცეკავშირის“ ისტორიული ძირისა და სათავეების საბოლოოდ დამტკიცება-დადგინება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ხსენებული სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ჩვენი მკვლევარების ნაშრომებში ისეთივე მრავალფეროვანი შეხედულებებია და დომხალი, როგორც საერთოდ მათ სხვა ნარკვევებში.

სრულებით ყალბია და უსაბუთო ეხლანდელი გაგება „ცეკავშირი“, რომელიც გამოხატავს: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალურ კავშირს. ყალბია, რადგან ასეთი კავშირი ხშირად მართო ცარიელი სიტყვაა.

ყური დაუგდოთ ამის დასაბუთებლად რას მოგვითხრობს თვითონ პატივცემული „ცეკავშირი“:

„მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ჩვენი პერიფერიის კოოპერატივები არ აქცევენ ყურადღებას ცეკავშირის დავალებებს და მოქმედებენ თავიანთ ნებაზე, დამოუკიდებლად, რაც სასტიკი დარღვევაა ცეკავშირის წესებისა. ვბრძანებ — ძირშივე იქნეს აღკვეთილი ჩვენი კოოპერატივების ცენტრალური კავშირისადმი დაუმორჩილებლობა და დამოუკიდებელი საქმიანობა“.

ცეკავშირი — ანუ ამხ. ვანო ბოლქვაძე.

მაგრამ მე, თემას გადავცდი.

როგორც თავშივე განვაცხადე ამ სიტყვის შესახებ საბოლოო, გადაჭრილი აზრის გამოტანა შეუძლებელია.

არ არის სწორი ის შეხედულება, თითქოს სიტყვა „ცეკავშირი“ წარმოშობილი იყვის გვარი — ცეკავშილისაგან.

ერთი შეგვიძლია ჩვენ გადაჭრით დავასკვნათ, ეს ის, რომ ცეკავშირი

*) პატივცემულ მკვლევარს ნიანიგი არ ეთანხმება ამ საკითხში. პირიქით, ჩვენი ღრმა რწმენით, „ცეკავშირი“ სწორედ რომ „ცეკვა“-სგან წარმოსდგება. ამის შესახებ საქაო ლიტერატურაში მოიპოვება, რის გაცნობაც პ. ც. ავტორს არ აწყენდა

ეს თეორია და მიმდინარეობა ასეთია: მფლანგველი, როგორც ყველა დაწესებულებებს, თურმე ცეკავშირსაც ჰყავდა წინდ; (შეიძლება ახლაც ჰყავდეს). არის გადმოცემა, რომ მფლანგველთა ერთი ჯგუფი თურმე ასე მღეროდა:

რა კარგია ცეკავშირი,



აი, ეხლა კი მივხვდი, რატომ არის და სურული

ორი სიტყვისგან შესდგება: **ცე** და **კავშირი**, მაგრამ საეჭვოა ეს შემოკლებული **ცე** მაინცა და მაინც ცენტრალურს გამოხატავდეს, თუმცა სიტყვა „ცენტრალური“ ჩვენში საქმოდ ცნობილია და გასაგებია.

ვერც ჩვენს ვირების მგოსანს რ. გვეტაძეს დავეთანხმებით, თითქოს **ცე** — აქ „ა—**ცე** ვიროდან“ იყოს ნასესხები, თუმცა ვირების მონაწილეობა ჩვენს კოოპერატიულ საქმიანობაში თანდათან ფართო ხასიათს იღებს: მაგალითად ვირებით დაატარებენ მწვანე ილეულობას, ხილეულის და სხვა—ჩვენი კოოპერატორებია ამ

შემაყვარა ცეკვა ხშირი... და სხვა

აი ამ ორი სიტყვიდან: **ცეკვა** და **ხშირი** (ხშირი ცეკვა) წარმოსდგაო ეს სახელწოდება. ჩვენში აუარბელი სიტყვებია, რომლებსაც წარმოშობის ასეთი ისტორია აქვს, მაგ.: ჭიათურა, (ჭია თუ რა?) მოდინახე, (მოდინახე) და სხვა.

სიტყვების კეთილშობიანებისა და ელასტიურ გამოთქმისათვის ფონეტიკის კანონებმა ამ ორ სიტყვაში შეერთების დროს ასეთი ცვლილება მოახდინეს: „ცეკვა“ ასო „ა“ ჩასვეს „კ“ და „მ“ შუა, ხოლო მკორე სიტყვის პირველი ასო „ხ“ სულ ამოაგდეს.

ამგვარად მივიღეთ „ცეკავშირი“.

ზმუკი.

ბოლო დროს, რაიც ყველას მოეხსენება. მიუხედავად ამისა ეს არ არის სწორი, რადგან ცეკავშირის წარმოშობა ისტორიულად უფრო ძველია.

არც გეომეტრიული კანონის გაელენით არის აქ **ცე** (ა, ბე, ვე), თუმცა გეომეტრიის სახელმძღვანელოებს ამჟამად ჰყიდის ცეკავშირის წიგნის მალაზიები, თუ ხშირად ასეთი არ მოეოვება მათ.

შეიძლება ეს დაწყველილი **ცე** დასაწყისა იყოს, სიტყვა „ცეცხლის“, შეიძლება ვინმე გაბოროტებულმა მოხმარებელმა დასწყველა კიდევ ცეკავშირი და შეუკურთხა.

— „ცეცხლი, შენ კავშიროვო“, რომ ბლომად არ გვაძლევ საწოვავე-ფართოეულობას და სხვასაო! — და აკი მართლაც გაუჩნდა გასულ ხაუხულს ცეკავშირის სამმართველოს ხანძარი და ძლივს გადაარჩინეს დაბუგვას.

ვინ იცის!

დასკვნა ასეთია: ცეკავშირის მნიშვნელობის განმარტება მაინც შეუძლებელია, ნის შესახებ არსებული ლიტერატურა საეჭვოა, როგორც ჩვენ ზოგიერთი კოოპერატივის საქმიანობა.


შ. შხუნელი.

„შაბათს შაყრილი ცოლ-ქმარი,
ორშაბათს გავიყარა ერთი“

ნაბ ოონის



დანიშნეს პაემანი ვით მიჯნურმა და სატრფომ,
მუშკოპმა სთხოვა ხელი—დასტური მისცა „ზაკტომ“
და წესისამებრ (ზაქსით) ვით ცხოვრებაში ხდება
შეთანხმდენ, გადაწყვიტეს ოჯახის შეერთება!



ეთხანს იცხოვრეს ტყილად კავალერმა და დამამ,
გაგრამ ირინა თავი მალე ოჯახურ დრამამ:
ზაკტომ მზითევი დიდი მუშკოპს დააყვედრა,
მუშკოპმაც საყვედური—თავის მხრივ შეახვედრა.



უფრო გაღრმავდა დრამა, არ მოხდა შეთანხმება,
და განქორწინდნენ ისევ, (როგორც ეს მუდამ ხდება):
შეკრა მზითევი ზაკტომ, მიმართა თვის ძველ პასპორტს,
და თავის ბარგბარხანით კვლავ დაუბრუნდა ტრანსპორტს.

აქა ამბავი ნოქრის შესახებ

მუშკოპის ნოქრობაი ადვილათ ითქმის ენითა:
ძველთაგან დახლსა შინა ვართ, მით ადადითა—ჩვენითა,
მოგიწევს რამე სურსათი რიგს თუ დაქვარ შენითა,
არა და წახვალ ცარიელ—კბილთა ამოა ღრჭენითა.

მყავდა ნაცნობი კეთილი, ვეტყვიტ ნათლიმამობასა,
სადეფიცოტო საქონლით მე მას უწევდი ძმობასა,
გარდა დღისითვე მიცემას ვირჩევდი ღამით ხმობასა,
ვადღევ მიტკალს და ფარჩეულს, არღა დამიწყებს გმობასა.

დილაზე ადრე ვიდოდი, შრომის კანონის ძალითა,
მუშტარნი კნეკვით მოვიდის, ვით მეომარნი ხმალითა,
იგაცა, ნათლიამაი, მოვალს ნაბიჯით მალითა,
—„შემოვივლიდე ბინდისას“—მას ვინიშნებდი თვალითა.

ღამესა ერთსა მოვიდის: დაუტევს შიშს და ძრწოლასა
ფურჩევიდ ფართალს, ტყავეულს, ფაიფურსა და ბროლასა
შემოხვდა ბრიგადამ, გამიმართვიდის ბრძოლასა:
—„გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა“.

ღამეცა რეტი, თავზარი, თვალთა არ გამინათლია
—„ძმანო, ბრიგადათ ხმობილნო, იწამეთ ცოდვა-მადლია,
აქაც წაიღეთ ფართალი, გწადით რამდენიც ადლია,
არის მუშტარი უბრალო, ტყუილ გგონიათ ნათლია...“

მით სამთავე ბრიგადელთა გაიღიმეს მწარედ ფრიად
სთქვეს თუ: „მავნე ელემენტო, ჩვენზე ეგ რა ვიფიქრო,
გაღანამცა გეჩნეოდეს თავსა შიგან შიგან ქარნი ქრიან,
შენებრ რეაჩი და ოხერი ყოლე ბევრი შეგვიპყრია“.

მით სამთა ხელი გამართეს ჩვენდა-ყე შესაბყარისად.
გადაგვეს მილიციელებს უბანსა მისაბარისად,
ნოიოზარ, მესმის ვოდება ნათლიმამ-მეგობარისა,
სტირის: „რა მრჯიდა, მეცხოვრა ქვე-საცვლის მე ამარი-
სად“.

რღა ბევრი გავაგრძელო, ანდა თავი გავიმართლო,
ჩვენ გადაგვეს არხენად საზოგადო სასამაროლოს...
დამიმტკიცეს გამეძარცვა საკურტლენი თუ საფართლო,
მოგვისაჯეს: ხუთი მე და სამი წელიც ამ ჩემს ნათლოს...
ტუარსიტი


გეგალიანობა იწარმოებს
სალამოს ნ საათი ზან
ახალგაზრდა მსატმრების—პირველ აპრილს
ლიტერატურულ წრის—ორ აპრილს

ახალი „ვეფხვის ტყაოსანი“

რომელმან შექმნა მუშკოპი მარჯვენით მის ძლიერითა,
ამრავლა ვითარც სოკონი ტყეს შიგან მონაბერითა,
შიგ ჩააყენა ნოქრები პატიოსნებით მისითა,
უთხრა:—იყავი ერთგული სამსახურითა თვისითა.

მნაცაკანოვი დანიშნეს გამგეთ ერთ მაღაზიაში.
ნაეაქრი ფული შესჭამა სამიკიტნოთა ყილაში;
მაშინ წამწარდა, როდესაც მას ხელი სტაცეს ღლიაში
ეხლა გამსახლში ბრძანდება გამფლანგველების სიაში.

ლოსაბერიძეს ჩირქი ცხო, ილაპარაკა შავათა,
მაგრამ სიმართლემ იმარჯვა, გზა გაიკაფა თავათა
ბოლმიდან გული უსკდება, გამხდარი არის ავათა.
კირ. საფიჩხიელი



სამომხმარებლო კოოპერაციის № 17 მაღაზიის აბრაზე იყო მგრძობიარე წარწერა: „ხელი, ამხანაგო“.

მეორე ეს იყო მხოლოდ აბრაზე, შიგნით კი სამი ანხლი ნოქრები, მყიდველებისაგან ყოველშემთხვევისათვის დაზვით გამიჯნულნი, ცივით იტორცხნიდნენ:

პირველი: — ნუ ჩქარობთ, მოქალაქე! ხომ ხედავთ წარწერას, — საქონლის გაცემა შეიძლება მხოლოდ რიგით. ესლა რიგი არ არის. მაშასადამე, უნდა მოიცადოთ!..

მეორე: — შეიძლება შენ საჩივრის წიგნი გასურს? შენი წერა-კითხვის უცოდინარობა აქ გინდა მოსპო? ხა-ხა-ხა!..

მესამე: — ბები, შენ მისამართი ხომ არ შეგშლია? ალბათ კუბოების სახელოსნოს დაეძებ? არა, ბები?..

თუ დაზვასთან ბევრი მყიდველები დაგროვდებოდნენ, — სამივე გამყიდველები გადაჯგუფებას მოახდენდნენ: ერთი სულ წავიდოდა, მეორე ქალაქის ნაფლეთზე რაღაცა ციფრების წერას და ანგარიშს აწარმოებდა, მესამე გულმოდგინეთ შეუდგებოდა დაზვიდან მტკრის გადაფერთხას, და როდესაც ამ საქმეს მორჩებოდა, გულმოწყვეტილი დააგდებდა ჩვარს და მიჰყოფდა ხელს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ბოთლების გადაწყობას და პირიქით.

...როდესაც აუცილებელი შეიქნა მათი დათხოვნა, მაღაზიის გამგე მწუხარებით აქნევდა თავს:

— ომის წინადროინდელი გამოცდილება, განსაკუთრებული კვალიფიკაცია, მარა მიუხედავად ამისა, აი, დახეთ...

მაღაზია № 17 დაზვის შიგნით ესლა იდგენ ორი მამაკაცი და ერთი ქალი. მდაბიო მყიდველებს ეს ქალი ისე უწონდა საქონელს, თითქოს მუქთად ააღევდა და აზიზი სახის გამომეტყველებით მიაწვდიდა ხოლმე.

მეორე გამყიდველი არ ისმენდა მყიდველის ლაპარაკს, გულდასმით ფურცლავდა მისი საწვევო წიგნაკის გვერდებს და რამდენიმე ხნის შემდეგ ლაყბათ ჰკითხავდა:

— ხო, თქვენ ზეთი გინდათ? ზეთს დღეს არ ვიძლევი!

მესამე გამყიდველი ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: — თქვენ ნახევარი ბოთლიკა გინდათ?

და თუ ვისმეს ნახევარი ბოთლიკა

არ უნდოდა, ის შეურაცხყოფილივით მიიბრუნებდა პირს.

როდესაც ესენი დაითხოვეს, გამგე თავის ქნევით წუწუნებდა:

— ქალის მიმართ განსაკუთრებით საწყენია ასეთი მოპყრობა. უმაღლეს განათლება მიღებული, კეთილშობილი ჩამომავლობის. გამყიდველები საგანგებო კვალიფიკაციის იყვნენ, საქმის მცოდნე, გამოცდილი. მარა, აი, დახეთ...

ცვალებადობა № 17 მაღაზია „ხელი, ამხანაგო“-ში გრძელდებოდა.

— განსაკუთრებული კვალიფიკაციის, გამოცდილი, საქმის მცოდნე...

— წუწუნობდა გამგე ყოველ ამ იძულებითი ცვალებადობის დროს.

და, აი, ერთხელ მოვიდნენ გამოუცდელი, უკვალიფიკაციო, საქმის არ მცოდნე ორი ქალი და ერთი მოზარდი ზიკი და ჩადგენ დაზვის შიგნით.

შემოიკრეს წინსაფარი, წაიკაპიწეს მკლავები და შეუდგენ საქმეს თავიანთებურათ.

იმავე დღეს მყიდველები გაკვირვებაში იყვნენ:

— უბრალოდ გველაპარაკებინ, არ იშხამებინ. წიგნაკს სწრაფათ ჩამოგვართმევენ, აგვიწონინ, მოგვაწვდიან თავაზიანათ. რაშია საქმე ნეტა?

პირველათ ძრიელ უკვირდათ, მარა შემდეგ ისე შეეჩვიენ, რომ თითქოს სხვაფერ არც კი შეიძლებოდა ყოფილიყო.

გამგე კი თავის ქნევით ამბობდა: არავითარი კვალიფიკაცია, გამოცდილება, ცოდნა. ან კი და საიდან ექნებათ? ერთი — მუშის ცოლი, მეორეც — მუშის ცოლი, მესამე კი — კომპაზმირელი. სრულებით უკვალიფიკაციო, მარა, აი, დახეთ...


კროკოდილი“-დან.

გ ა ზ ა რ შ ი ნახ. ქოქიაშვილს




— უი, ქა, რას ამბობ! კალოშები სამი თუმანი? კოოპერატივში სამი მანეთი ღირს!

— ვა, ესეც ხომ კოოპერატივიდან გამოტანილია!



იყო ერთი კოოპერატივი. ყველაფერი იყო შიგ. მომ-
მხმარებლებსაც ჰყოფნიდა საქონელი და თავგებიც შოუ-
ლოდნენ კბილის გასაქრავს: ეს ბრინჯიო, ეს შაქარიო,
ეს ნამცხვარიო და სხვა უამრავი საქონელი.


ნოქარმა დაიწყო კოოპერატივიდან საქონლის სახლ-
ში ჩუმად ზიდვა. კოოპერატივს საქონელი დააკლდა. მო-
მხმარებლები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ.



— სტყუის, მიქარავს, ყველაფერი სახლში წაიღო.
ჩვენ არაფერ შუაში ვართ, სიმშლით ვიხოცებით კოოპე-
რატივში. აი, შემომხედეთ, პატივცემულო მოსამართლე-
ნო, როგორი გამხდარი ვარ, ლამის სული ამომძვრეს
თქვენს წინაშე და მყარალ ლეშად ვიქცე.

მართლაც, ნოქრის ბინაზე მთელი კოოპერატივი აღ-
მოაჩინეს.

დაუმტკიცდა ნოქარს კოოპერატივის შექმა და „სა-
სამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ“ მართალია
შექმა, მაგრამ შექმა პირველად; გარდა ამისა იმიტომ
და ამიტომ, რომ შეეცვალოს დახვერტა სასტიკი იზო-
ლიაციით. ეს უკანასკნელი — პირობით სასჯელად, ხო-
ლო პირობითი სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნეს
და საქმე ამით მოისპოს, ხოლო ბრალდებული გადაყვა-
ნილ იქნას მეორე სავაკროში გამგის თანამდებობაზე გა-
ცდენილ დროისთვის ჯამაგირის მიცემით. განაჩენი სა-
ბოლოა და ბრალდებულს უფლება არა აქვს ხელმეო-
რედ გასაჩივრებისა.



— რა ვქნა, ჩემო კარგო, კრიზისია, ჩემი რა ბრა-
ლია! — ამბობდა ნოქარი და მომხმარებლებს უარით
ისტუმრებდა.

მაგრამ ბებერმა ვიროთხამ ყველაფერი იცოდა. ის
ღამღამობით უთვალთვალებდა ნოქარს, რომელსაც მა-
ლულად გაჰქონდა საქონელი.

— სმენა. სწორება ნოქრისაკენ. ნაბიჯით... იარ! —
გასცა ბრძანება ბებერმა ვიროთხამ და თავგები უკან გა-
მოუდგენ სახლისაკენ მიმავალ ნოქარს.


თავგებმა ნოქრის ბინაზე კოოპერატივის საქონლით
ვერ ისარგებლეს, რადგან ნოქრის ცოლს სამი კატა
ჰყავდა.

ნოქარმა კი ოქმი შეადგინა და საქონლის დანაკლი-
სი ვიროთხებს გადააბრალა.




— დავილუპეთ, ყველაფერს ჩვენ გვაბრალებს! —
მოსთქვამდნენ თავგები.

საქმე სასამართლომდე მივიდა. ნოქარმა დაიწყო თა-
ვის მართლება, მაგრამ ამ დროს გამოვიდა გამხდარი
ვიროთხა და სასამართლოს მოახსენა:



ნოქარს (ეხლა კი უკვე გამგეს) ვიროთხის სურათი
ძვირფასს ჩარჩოში აქვს ჩასმული და უკიდია კედელზე
საწოლთან ცოლის სურათის გვერდით.

ისაღი.



ზევით—კოლპერატივის შიტრინა ჯაფხულოვებით, ქვევით—კოლპერატივის შიტრინა ჯამთროვებით.

ტყუილი უხეხავი

ბრიყვადე დიდი მოხერხებული კაცი იყო. თავისი მახინჯიებით კოოპერატივში მოეწყო გამგეთ და გაშლილ ცხოვრებას მიჰყო ხელი. წმენდის დაწყებამ თავზარი დასცა მას.

—რა გინახია, რომ სულ იცინი?— ეკითხებოდნ ახსანაგები.

—როგორ თუ რა მიხარია! წმენდა დაიწყო. საჭიროა კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღება!—უპასუხებდა ბრიყვადე.

დაიწყო აპარატის წმენდა.

—ბრიყვადე!—გამიძახეს წმენდას.

—მე დავიბადე „ღარიბი გლეხის“ ოჯახში!—დაიწყო ბრიყვადე.

—თუ მდიდროს ოჯახში?—მეეკითხა კომისიის წევრი.

—რა უყოთ, რომ მამაჩემი ყოფილი ღღღელია. იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო რელიგიის, მარხვა თავის დღეში არ შეეუნხავს. გასაბჭოვდა თუ არა საქართველოში, მამაჩემმა ც გაიხადა ანაფორა და მოიპარსა წვერი.

—მერე თქვენ რათ თქვით, ღარიბი გლეხის ოჯახში დავიბადეო?

—იმიტომ, რომ 10 წლამდე დედის კალთა არ მინახავს, მოსამსახურე ძიძებთან ვიზრდებოდი.

—კერძო ვაჭრებზე ხომ არაფერი ვაგვიციათ?

—არც ერთი გრამი.

—მაშ ეს ოქმი რაზე შეეიყ...

—თუ არ ვცდები ერთხელ 3 ფუთი შაქარი ვავეცია.

—მეტი არაფერი?

—მგონი 5 ფუთი ბრინჯიც.

—მეტი არაფერი?

—2 ფუთი კარაქი.

—მეტი არაფერი?

—50 ცალი საპონი.

—მეტი არაფერი?

—ა... ვერი!

—არაფერი კი არა, ყველაფერი გაუცია—გაისმა ხმები.

მეორე დღით ბრიყვადე „გაწმენდილი“ დადიოდა.

კალგოსანი


„დახურული“

სადაც დიდებულ ზოგიერთ მუშაკონს კერძო ვაჭრები შეკედლებიან, იქ საქონელის შინ წაღებაზე ერთიმეორეს ეცილებიან. დახურული... სხვაობა გგონიათ, ხედავთ ნოჭრების კეკლუც პორტრეტებს; სინამდვილეში ანაწილებენ საპონს, კარაქს და ხორცის კატლებს. და შეკრულებით იბარებიან, როცა ელექტროს ლამპარი ჩება.

ნიანგო, ნახე ზოგი მუშაკონს საწყობში, ანდა დახლში რა ხდება.

მირიზი

ნახ. ღონის



ნიანგი მოდის!

ტყუილი უხეხავი ბრინჯი „ნიანგი“-ს მამა და მამა-მამა ნოჭრის გაქვითიანობა. მამა. მამა-მამა ნოჭრის ბრინჯი.

სოფლის „ეკო“-ში

—ის ვინ არის, დახლში რომ ზის?
—სირაჯია ყოფილი.
—მეორე ვიღა გვერდში რომ უდგას?

—ეგ ძილი ნათავადარია.
—გრძელი უღვაშები რომ აქვს, ის ვინაა?

—კულაკია, რომელიც კოლექტივის ძნებისთვის ცეცხლის წაქიდების გამო ციხეში იჯდა.

—კუთხეში რომ ზის მოწყენილი?

—გაკრეჭილი მღვდელია. თმები აქვს მარბო გაკრეჭილი, თორემ გული ისევ გაუკრეჭავი.

—ეხლა კი მიიხვით, თუ რატომ არის ჩვენი სოფლის კოოპერატივი ასე გამომთავყენებული.

ჯუსენი

ნოჭრის გოდება

კოპერატივის ნოჭრობას ადვილად იტყვის ენაო. რაც მომეწონა, გავქაფე, გავეზავნე სახლისკენაო. ჩით-ნარმა, პალტო კალონებს ყველას გავკარი კბილიო, კოოპერატივის ქონებით ცხოვრება მქონდა ტკბილიო.

მაგრამ ჩამუხამდა ჩეიფი ციხეში მიკრეს თავიო, „მსუბუქმა კავალერია“ მჩვენა უნახავიო.

კოპერატივში ნოჭრობას ადვილად იტყვის ენაო, მაგრამ ბევრ მათგანს გზავნიან პირდაპირ ცხისკენაო.

ნიანგორი

ყ უ მ ბ ა რ ა ც ე კ ა ვ შ ი რ ი მ უ შ კ ო ლ პ ი

გაჩვილად გიორგი

გიორგის გამსახლში ჰქონდა თავი ამოსაყოფი; კასან ფული დააძრო მრავალი თვის საყოფი.



დანაკლისი დაფარა მშა-ბიჭების "ჯიბიდან, თანაც ფოტოგრაფია დაუმატა შინიდან.

გალდასტანეზმილი


კვების დარგის კონსულტანტს, როგორც ვკადრით ძაგება. ცეკავშირში ისწავლა კვების ბიზნის გაგება.



ნაცნობების მოწყობა, ავანსების აღება და, რაც უმთავრესია, თავის მომარაგება.

ხშირია აპაკი

"გლავბუხია" აკაკი, ფაფხურობს და ქაქანობს "კომსოლოლი" არ უყვარს, არ სურს გააქვანოს.



ინტრიგანი, უხეში მუდამ სხვებზე ტატყანობს, და ამიტომ ვამზადებთ მისთვის "ვირის აბანოს".

არონიშიძე შარამან

ძველი "გილდის კუბეცი" გასლავთ ჩვენი ყარამან; დუფიცითურ საქონელს თავი მოუყარა შან.



მშა ტ... ავლცხს და ჯიბე აქვს მსუქანი; ცეკავშირში სარფა აქვს, სასლში—კერძო დუქანი.

კუხალეიზმილი ივანე

ივანემ იტენიკა და საწყობი ააგო. იმან ხელმ მოიბოზო, ცი... შარმა წავაღო.



... არ უყვარს მას მკვიდრი და შაგარი; უსაოფოდ ტიპია მავნებელის მაგარი.

იაზმილი ნინო


იაზმილი ნინიკო მუდამ გულმობრძღვნილ იყო, ტელეფონის "ტრუბკაზე" მუდამ გადაფხვნილ იყო;



კრასკით, ფერ... უფლით მუდამ შეთითხნილ იყო. ცეკავშირში ვერ ვნახეთ, ხადლაც გაფრენილიყო.

ვოლნიკი შარდინანდ

ვოლნიკი ფერდინანდი ძველი აგრონომია მშა-ბიჭებთან ქეიფში ათახები სდომია.



იშვიათი წამგლეჯი, ძნელი გასაძლომია მუშკობიდან ავბარგოთ, თუ გვსურს ეკონომია.

ბილც მორი

თქვენ ერთი წენ არ იცით მუშკობელი ბეითლოს; ძვლები ერთობ არ უყვარს, მსუქან-მსუქანს მეთილოს.



მუდა და... მტება დვინით გამოუღენთილი. მას ძროხები არ ახსოვს, ქალღმერთა შემოლილი.

ნ. კანტიძე

ჩვენ გვებროდა ეს ვაჟი მენშევიკთა "ლომია". ჩვენი ხელისუფლება არასდროს არ სდომია.



აქ, ჩვენს ჩამოსაგდებად მას ბევრი უომია და ეს "მაუზერისტი" ეხლა გასტრონომია.

სარაიძე აპაკი

მუშტი-კრივის ბიჭია, სხვანაირად "დამკვრელი". მაგის გაპანდურებას არ დაადგა საშველი.



მუშებს იგი ვერ იტანს, დვინო უყვარს კაჟური. ჩვენის აზრით, არ აწყენს მას ნიანგის პანდური.

ურა და ნადი


აგი "მანდილოსნები" იარდერებით ვაჭრობდენ, მათ "პაჩეხად" ელაგათ, სხვები ნარობდენ.



და ასე გაცურება მათ იარდერი ასამდე, არაფერი გეტკინოთ აწი იმთ ნახვამდე.

კანტარლიორამი

როგორც აქ დინახავთ, მაგადეკი მთვრალია. ეხლანან ვათარის ცინცაძე და გვადია,



...კეპზე რომ უყვართ იმთ ხელის მოთბობა, და ნადიმის გამართვით გამგის გულის მოლობა.

შ ა კ ი ლ ა უ ა

მიღწეობის გაგება არის თვითმომარაგება

„აბრეშუმის საქსოვ დაბრიყის სადღესო კომისიის თავმჯდომარე მიღწეობილია ბოროტად სარგებლობს თანამდებობით და აწარმოებს დედიციტიან საქონლით თვითმომარაგებას.“

რაბიურგლი.




დამკვეთი იყო დაზავთან, აქაც „დამკვეთობს“ — ბიჭია: — საქონლის სახლში ზიდვაში გამოიჩინა ნიჭია. მას რა ქნას? თავმჯდომარეა — და საქონელი თუ არი, ის არ სჯობს თვითონ წაიღოს სხვებს კი მირატყას უარი? ნიანგი ბრძანებს: „მუშკოპში მიღწეობილი ნუ არი!“

ვირთხების მთელი კრებულის ამ არის მოგზარძვებული.

„№ 153 დახურულ განმანაწილებელში თვე მოუყრიათ ქურდობაში, თვითმომარაგებაში და კერძო ჩარჩებთან კავშირში შემწეულ თანამშრომლებს: ხოსანოვს, მირგალოვს და სხვებს.“

ბოგბელი.




ამ ვირთხებს ჩაუდგინათ მრავალი კომბინაცია, ჩარჩებთან მტკიცე კავშირით მუშკოპს გაართვეს გნაცია. აგენტები ჰყავს თვისი და მათი მავნე ხელებით კერძო ბაზარზე გააბეს მათ მავნებლური ქსალები, ჩვენ ვეკითხებით მუშკოპს. (თუმცე ეს კითხვაც კი მეტია) — დღემდე ეს მავნე ნაგავი მას რათ არ გაუხვამტია?

ზენ ჯაფარიძემ, გვაჩვენა აბა როგორ უმკამრ სუფრისგან კაბა?

„№ 28 სასაიდლოს თანამშრომელმა ქალმა ჯაფარიძემ მოიპარა სუფრა და სხვა ნივთები, საიდანაც შეიკერა კაბა.“

აქტივისტი.



ნამ სასაიდლოდან ფეტვი რომ გააცოცა?

თერთუელი და კოხტა კაბები შეიკერა და ხელზე იყოცა! და თუ აქ დარჩა კიდევ ის დიდხანს, თუ მუშკოპი მას არ მიხედავს, — დანაჩინგაუხსაც საფრთხე მოელოს — ის მათგან ქოშებს გამოიჭედავს.

ამ სამამ არაშულია მიჩამამ მზარძულია.

„მუშკოპის საგარეუბრო მეურნეობაში სპეცილისტ-მეზობტნედ მოწვეული არიან ვინმე ვოლნიკი და კუზმილი, თვითუელ მათგანს თვიურად 1000 მანეთი ეძლევა, არც ერთს და არც მეორეს არასოდეს საბოტნედ საქმესთან არაფერი საიროო არ ქონია.“

აქტივისტი.




კრილოვის „უჩქეშეშე“ დღესაც კი ბლომად არიან: მათგან ვოლნიკ და კუზმილი მეზობტნედ წამომჯდარია. ბლომად სანსლავენ ფულებსა — ისმ, ვით ნაშუქს-ხახვიანს, — საქმე კი არ გამეგებათ: კიტრი გონიათ კვანია, — თითო მაგარი პანდური მათთვის დიხაც ახია...

გაითალი ვინმე ბლიტი, არ შარბა პარბად ვიტი.

„მუშკოპის სარძვეე პუნქტების საქონელი ექიმი ბლიტი სისტემატიურად დეზერტირობს, ყურადღებას არ აქცევს საქონელს, რას ვამო ძროხების დიდი ნაწილი დაავადმეოვდა და დაიხრია.“

პოთვალყურე.



სპეცია, ათგან მსახურობს, მაგრამ ამისი სპეცია, არგია ფულს ბოჭვაში, საქმეში კი სჭირს ბეცობა, ძროხები გაანადგურა, ახლოს არ ეკარებოდა, —

დეზერტირი და წამგლეჯი კომბინაციებს შერბობდა, ძროხის სინდისიც რომ ქონდეს, ამდენი არ მოხდებოდა.

პტირდა ქროხა უზინდო... კაბრეთს პატრონი გზინდო.

„მუშკოპის კაპრეთის სარძვეე პუნქტში თანამშრომელთა დაუდევრობით დაილუპა 20 ჯიშისანი ძროხა. 40 გაიყიდა ჩალის ფასად, ხოლო დარჩენილ 20 ძროხასაც დალუპა მოელოს.“

კაპრეთელი.




წიროდა საჩხუბს ამკობა: „იმო და არა იმომ რა“. ჩვენს პუნქტში სამოცი ძროხა სულ ჭირმა გადაიყოლა. ჩვენც დარბა ძუძუ გაგვიშრო მუხლში დაგვალდა ღონეო, მმუ-უ-უ-უ მუშკოპო, სადა ხარ? — ჩვენ მაინც ვვიპარჩენიო.

იცის ფონაში დაკლებმა და მოგხმარებელთ აკლებმა

„ლენინის ქუჩაზე, საბეზიო ინსტიტუტის პირდაპირ არსებულ სავეტრო წერტის გამგე, სისტემატიურად აკლებს წონაში, საქონელზე უმატებს ფასებს და უხეშად ეპყრობა მომხმარებლებს. „ხადმეტლ“ შემოსულ ფულს კი ვიხეში იღებს.“

პაიე.



იცისდესა „აბა ყვეაილაც“ სხვა „თავულთა“ კონაში: ხელმარჯვე გახლავთ, ჩასხანდი, ყველას ატყუებს წონაში. და „მოგებულ ფულს ჯიბისკენ აცოცებს, არა სწყინდება, — ვკითხულობთ: მუშკოპიდან ის როდის გამოფრინდება?..“

შ ე კ ი თ ხ ვ ა ა ნ კ ე ტ ა

(სოფ. კრწანისი)

ჩემი დაბალი სალაში კოოპერტივით მაღალ პატიუნაცვმო ხოსაშვილო! ბოღიშს ვინდი, ღამე ნათევი ბრძანდებით, მაგრამ მაინც გვიპასუხეთ:

ჩამდენი ფართალი ვოგვიით იმ როდენობიდან, რომელიც ქრწანის კოოპერტივის უნდა დაერიგებია კოლმეურნეებზე, მაგრამ ღამით — 9 საათიდან — 3 საათამდე თვით მამა-ბიჭურად „გაინაწილეთ“. თქვენ რომ ღამე მუშაობთ „ხედმეტ საათებში“: ეს შეთანხმებულია თუ არა შრომის ინსპექტორთან და თუ გეძლევათ ხედმეტი გასამარჯვლო კოოპერტივის გამგეობისათვის?

ივანიძას ძმა.

(კარდენახის კოოპერატივისისათვის*)

- 1) გვარო, სახელი იმ პირისა, ვისაც ბოროტად გააქვს საქონელი.
- 2) რა მონაწილეობას დებულობს გამგეობა ავ ბიროტმოქმედებაში?
- 3) რატომ არის, რომ კარდენახის საბჭოთა მეურნეობის მუშების საქონელს თვით კოოპერატივის თანამშრომლები ინაწილებენ?
- 4) აქედან, რომელ თანამშრომელმა რამდენი მიიღო?
- 5) დარჩათ თუ არა საქონელი „გაუიმას-ქნებელი“ და თუ არა, რომელ კოოპერატივში გორჩენიათ გადასვლა?

* ამ ანკეტის შეესება თუ გაგიორდეთ, დახმარეთ ადგილობრივი მუშკორები.

ჩვენი ღრვის კოოპერატივები



საიდუმლო ბარათი

(გაგონილი კავთისხევში, კახის რაიონი)

იყო და ახლაც არის ჩვენი კოოპერატივის გამგეობის ერთერთი წევრი, რომლის ქველმოქმედებას (ცხადია ამქრების მიმართ) საზღვარი არა აქვს.



ამ კაცს არა ჰყავს არცერთი ნათესავი დარჩენილი მომარაგების გარეშე, აძლევს ბარათებს ნოქრის მისამართით და სწერს: „ამას და ამას მიეცე“:

ხუთი წველი კალოში,
(სარჩენი ჰყავს ბევრია);
ათი კილო შაქარი,
(თუმცა არა წვერია);
ქეშელაშვილს, ლეკიშვილს,
ჩემს ცოლსა და საშასა,
ყველაფერი მიეცი
ისურვებენ რასაცა.

აი ასეთ ბარათს ჩაიდებენ ჯიბეში და მღვრიან:

საიდუმლო ბარათო,
მისთვის გადიდებ უბეში.
ხუთი წველი კალოში
მეცვას ტალახ-გუბეში.

გაიგეს ამბავი ესე და მოინდომეს ამ კაცის „შიშობა“, მაგრამ მაინც ამოიღო ჯიბიდან ვილაცას საიდუმლო ბარათი. ისევ დარჩა გამგეობის წევრად და ისევ იწერება საიდუმლო ბარათები.

— ეჰ. ნეტავი მე ვიყო მისი ნათესავი! — დაუმატა ერთერთმა მსმენელმა და ზღაპარი ასე დაასრულა მოსაუბრემ:

— იგი არის ლხინშიო... საქმე მუშაგლებინშიო...

უფინდური სამება (გაგონილი მარტვილში)

იყო და... რომ არ ყოფილიყო უმჯობესი იქნებოდა. იყვენ: რაჟდენ ხელაია, ვ. ხაბურჯანია და ფილხაზი

სულიაშვილი. კოოპერატორები და გაფლანგულები სხვებიც არიან, მაგრამ მაზზე უკეთესი ვინ იქნება.

ესენი განაგებდნენ მარტვილის „ებოს“. კოოპერატივის საწევრო წიგნაკში, ასეთი ამბავი ამოიკითხეს:

„კოოპერატივი ზრუნავს თავის წევრების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად... ამარაგებს მათ საჭირო საქონლით და სურსათ-სანოვავით“.

მხოლოდ ეს წაიკითხეს და ალტაცებით წამოიძახეს: — ეს არის ჩვენი საქმე! ამისთვის ვიმტყრევედი თავს, რომ „ებო“-ში მოვწყობილიყავით! მალე მთელს სოფელს მოედო მათი სიმღერა:

გამგეობას და ნოქრობას
ადვილად იტყვის ენაო.
ღილით „ებო“-ში მივდივარ,
საღამოს სახლისკენაო
რაც საქონელი მივიღეთ,
წავიღეთ ყველა ჩვენაო.

და ერთ დღის პოლიტ.-სამმართველო მოულოდნელად ესტუმრა ამ გმირებს სახლში. მთელი „ებო“ მათ ბიწაზე აღმოჩნდა.

— აი, ასე ვუფრახილდები ხალხის ქონებას. მეზინია, საქონლის დატოვება კოოპერატივში და ყველაფერი



სახლში მაჭვს! — დააპირა თავის მართლება რაჟდენ ხელაიამ, მაგრამ ყველაფერი აშკარა იყო.

— ეს 800 მანეთი? — შეეკითხნენ, როცა გადამალოლი ფული და 70 წველი საცვალე უნახეს.

— ეს „შავი ღლისათვის“ მქონდა შემონახული, თქვენ გელოდით და გამსახლში დამჭირდება — თქო! — თავი იმართლა რაჟდენმა.

— რატომ ზედმეტ ფასებში ჰყიდლით საქონელს?

— ჩვენს მიერ გაფლანგული ფულის ასანაზღაურებლად; აბა სახელმწიფოს რომ არ ვაზარალებდით! — ისევ შეეცადა თავის მართლებას რაჟდენი.

იგინია გამსახლშიო... სხვა ნოქრები კი დახლშიო.

სასწაულ მომგმედი უთო

(გაგონილი სოფ. ფოცხოში, სენაკის რაიონი)

იყო და ეხლაც არის „ებოს“ გამგეობის წევრი ღვებია, რომელსაც არ



მოსწონს ცენტრის მიერ დაწესებული ფასები საქონელზე და თვითონ უმატებს 100-200-500 პროც.

როცა ამის შესახებ უკმაყოფილება გაისმა მომხმარებლებში, ღვებია დაემუქრა მათ: „არ მოგწონთ? აწ მე ვიცი!“

და მეორე დღეს პირველ მოთხოვნის საჭონლის გაყიდვა დაიწყო ყველაზე ტორლით. (უთო 20 მანეთად შეათასა ტორლში).

— საყვედურს გვეტყვიან ამის შესახებ! — დააპირა თხრომა საბჭოს თავმჯდომარემ, მაგრამ ღვებია დაასწრო და დაამშვიდა:

— თუ ასე არ ვქენი კულაკობა და ფულიანი ხალხი მოუმარაგებელი რჩებიან. მათ ფული აქვთ და ასეთი წესით შეუძლიათ ყველაფერი შეიძინონ. ჩვენ კი კულაკობას და შეძლებულ ხალხს ფულს გამოვართმევთ და მით ჩავაბამთ მათ დღევანდელ გიგანტურ მშენებლობაში.


დასრულდება მისი ლხინი. მალე მოვა მუშგლებინი.

მე ვიცი: ბევრი გოდათ კრიტიკა
მე მათი აზრი არას მაკითხეს
ვისაც რა უნდა ის შეიძლება თავში
მე შევეცადე ზოგად საკითხებს.
აბა, რითმებო, პარადით ალუ,
ხომ ყველანი ხართ? ხომ არ გაკლიათ?
მუშაკობს, ცეკავების თქვენ ვნაცვალეთ,
იქა-აქ ვუთხრათ თუ აქვს ნაკლია.
გახდებით ბრძოლა მარჯვნივ და მარცხნივ
და ამ ბრძოლაში კიდევ დარჩებით;
ბევრს მიაყენეთ სასტიკი მარცხი,
განადგურეთ თითქმის ჩარჩები.

საბჭოთაობით გვეყება უბე,
უბეცა დღემი ხელი დიდძალ ვაგონებს:
აურის ცალს ვედარ იტევს დიდუბე,
შემდეგ სად დაცლით მე ეს მალონებს.
ბუღალტერის აქვს მანდ გარდვევა
(გლახა კაცისას სჯობს კარგის ყოდა)
შეშის ტალონებს შეგვდა დარდვევა,
აწი შენ იცი „მთავბუსო“ კოლა.
ზოგი მოლარე ისე ნაწდება,
არ უნდა მოგცეს მანეთის ხურდა;
ბევრი ნოქარიც კი გაბრაწდება,
მაგრამ რა ვუყოთ—გამოცვლა უნდა.

ტანით ირ მებროს არ გავცილდები,
ამაზე თუ გინდ მოგიტან დასტურს;
მაღაზიებში ვერსად ვერ ვხვდები,
ჩემ სარგო პალტოს ან კიდევ კასტუმს.
ვხედავ „სოფოზებს“ მოკიდე ხელი,
და იძენ ძროხებს, ქათმებს და ბატებს.
ზოგად გვექნება აწ რძე და ყველი,
ეს მომაგლის იმედს მომატებს.
ვიცი, რომ ბევრი გიდგას კრიტიკაში;
მე იმათ აზრი არას მაკითხებს;
ვისაც რა უნდა ის ქონდეს თავში,
მომარაგების მიყვე საკითხებს.
ს. ქნელოლი

ნახ. ტაბატაძის




დახურული სასაღილო

კოოპერაციის დახურული სასაღილოთი
უნდა დაქუროს მუშათა უბნები, რაც გაა-
უმჯობესებს ყოფა-ცხოვრებას.—ასე ესპის
კარგ კოოპერატორს, მაგრამ ზოგი სიტყვა
„დახურულს“ სხვანაირად იყენებ. ვაგალი-
თად ლაგოდების კოოპერატივის დახურულ
სასაღილოს შესეტურებმა გადაწყვიტეს—გა-
ეხსნათ დახურული სასაღილო.
გახსნეს კიდევ. მუშებმა იფიქრეს—ახლა
გვეშველაო, მაგრამ ამოთ, იქ მუშებს არა-
ვინ უშვებს.
— რატომ მუშებს არ უშვებთ შიგ?—შეე-
კითხენ მათ.
— ში, ბრწყინა ვილაცაა, ბიჭო, მაშ რის
დახურულია, თუ ხალხი შევიდა, მაგრამ
ვთქვათ, „სლუჩაინათ“ მუშა შევიდა შიგ.

გაოყდ გათაგულს ველარ იცნობ, რადგან იმ-
დენხანს უნდება ლოდინი, რომ ახალგაზრდა
გაქალაქადავდებ.
— ჩვენ „პროტნი“ ხალხისათვის გვაქვს
კერძი, თუ მოგვრება, პაულოუსტა!—უბნე-
ბა გამეგ მუშებს. თვითონ კი ამ „პროტნი“
ხალხში დრო, ატარებს, და თან გუნებაში
ლილინებს—„დახურული“ სასაღილო გავ-
ხსნიოთ, კარები ჩაქეტილია და ჩვენ „საქმი-
ანობას“ ვინ რაღას გაიგებსო.
ჩვენ პარც ვავიგეთ ეს ამბავი და ლაგო-
დების კოოპერაციამ უნდა ცეკვიტოს ყურე-
ბი, თორემ ვინ იცის, იქნებ თვითონაც მოხ-
ვდეს დახურულში, მაგრამ არა სასაღილოში,
არამედ სხვაგან!—რას იზამ, ასეც ხდება.
შპატკაშაძე.

ნახ. დონის



სამსო—მამეცი პაულოუსტა სამი კონა ისპანახი და კილო ვაილი.
მეტაჰე ნოქარი. აქ უკნიკოთ არ შაიძლება, ეს დახურული განმა-
ნაწილებელია..
სამსო. ვა, ბლენა? ამ ღია ცის ქვეშ, ღია ტაჩკას დახურულს ეძახი?


ნიანკოთა სპსსპი ნიანბს

კავთისხევი, (კახის რაიონი)

შემოქმედი (ოზურ: რაიონი)

ჩვენი კოოპერატივის საქმე ვერ არის კარგად, რადგან გაბეგობის ერთი წევრი:

საქონელს როცა მიიღებს
კარგებს სდებს თავისთვისაო,
მიაქვს სახლში და თან ამბობს:
მთელი „ებო“ მიაქვს შინაო.



აღმასკომის თავმჯდომარე ხშირად ერევა კოოპერატივის საქმეში, რითაც მეტი არეგ-დარეგა შეაქვს ისედაც არეულ-დარეულ საქმის არეულ-დარეულობაში. საქმისთვის უმჯობესია აღმასკომის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვა, ვინაიდან „ებო“ ვერ გასწვლია თავისი გაბეგობის ნაცნობთა მომარაგება!

საგაშლესი (აჭარისტანი)

გუშინ ზღვის პირას ყოფნის დროს ასეთ ლაპარაკს მოგვკარი ყური ორ საეჭო პირს შორის:



—ამალამ აქაური „ებო“ გავძარცვოთ!
—რატომ გავძარცვოთ! მემელს ვუთხრათ, ის გამგეა, და ნოქრებად აგვიყვანს; საქონელიც ჩვენი იქნება და ფულიც!

და დღეს როცა „ებო“-ში შევედი, ნოქრად დამხვდა ერთერთი მათგანი.

ამ დროს რაღაც ქალაქი მიიღეს. თვალი მოგვკარი წარწერას: ქობულეთის „ებო“-ს გამგეს მემედ გეგიძეს.

—რა იყო, რას გწერენ!— შეეკითხა მას ნოქარი მუნამედ იუსუფისძე კომახიძე (ვინაობა იქვე გავიგე).

—გაფრთხილებას მაძლევენ, მაგრამ როდის იყო, რომ მემედ გეგიძე ასეთებს ყურადღებას აქცევდა!

რუ-ქე

მოსდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

ადგილობრივ კოოპერატივის ზოგიერთმა მესვეურებმა ერთ არალეგალურ კრებაზე, რომელიც ღამით შესდგა თვით კოოპერატივში, დაადგინეს:

თვითმომარაგების მიზნით კოოპერატივის მთელი საქონელი გადავიტანოთ თავიანთ სახლებში და ამაღმევე ვაცნობოთ ადმინისტრაციას კოოპერატივის გაძარცვა! წინადადება ერთხმად იქნა მიღებული; თავიც კი არავის შეუკავებია.

—აბა, ახლა შენ გაიქეცი და ადმინისტრაციას შეატყობინე. იმათ მოხვლამდე ჩვენ უკვე მოვასწრებთ ყველაფერის გატანას.

და წავიდა ერთი „კოოპმუშაკი“.

ადმინისტრაცია ფეხზე დადგა. სწრაფად დაიძრა მილიციის რაზმი.

ის იყო „კოოპმუშაკები“ აპირებდენ სავაჭროდან გამოსვლას, რომ ალყა შემოარტყეს.



—დაგვლუბე? გვილაღატე? რატომ ასე მალე მოიყვანე მილიცია? ვერ დაგვაცადე საქონლის წაღება?— უსაყვედურებდენ შიკრიკს „კოოპმუშაკები“.

—სინაბრულისაგან ფრთები გამოიშვა და შევერდენით მივფრინდი მილიციაში. ეს რა ვიცოდი

—ახია თქვენზე!— უცბად გამოიცვალა კილო შიკრიკმა. —აბა რა გეგონათ! კოოპერატივის გაძარცვას დაგანებებდი; კოოპერატივი სახალხო ქონებაა. თქვენ ავაზაკებო თქვენა!— აგინებდა შიკრიკი მათ და ცდილობდა თავის დაძვრენას.

—სტყუის. მაგისი წინადადება იყო კოოპერატივის გაძარცვა.

ასე დასრულდა ამბავი იგი.



გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

„ნიანგ“-ში მოთავსებული ცნობა ალექს. წოწორიას შესახებ, არ შეეხება პედაგოგიურ ინსტიტუტის სტუდენტ ალექსანდრე საბას-ძე წოწორიას

„ტარტაროზი“-ს №230-ში მოთავსებული „ზენიშენა ჰიუგენის“ ხელისმოწერით ლიდა ვასაძის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს.



—წინედ აქ ჩემი საწყობები იყო, როცა გავივლიდი, გული სიხარულისაგან ჩიტივით ხტავდა... ეხლა კი სული მებუთება!